შრომის ბაზრის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები საქართველოში

ნაზი ჭიკაიძე
სტუ-ს პროფესორი

CURRENT PROBLEMS AND CHALLENGES OF THE LABOR MARKET IN GEORGIA

Nazi Chikaidze
Professor of GTU

SUMMARY

One of the main challenges of the Georgian economy is the growth of employment and the reduction of unemployment, which is also a key priority of the country's economic policy. In order to implement an effective economic policy aimed at reducing unemployment and increasing employment, it is important to analyze the labor market, study the trends of labor market demands and identify the challenges facing it.

Providing quality vocational education is one of the main challenges for the functioning and proper regulation of the labor market. This is reflected in the large-scale reforms, improvement of opportunities and increased funding that have been underway over the past decade. It must respond to challenges such as globalization, rapid changes in technology and the labor market, the demand for new skills, the country's digital and green transformation, environmental and social challenges, unemployment and poverty.

The article analyzes the current trends in employment and unemployment in the country, the challenges facing the labor market, the current state of the Georgian economy and ongoing reforms.

Keywords: labor market; employment; unemployment; vocational training.

შესავალი

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. უშუალოდ მასზე ასახვას პოვებს ეკონომიკური რეფორმის შედეგები. შრომის ბაზარზე ხდება სამუშაო ძალის კვლავწარმოება, განაწილება და გამოყენება მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე.

სამუშაო ძალის დასაქმება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, შემდეგ ურთიერთობათა ერთობლიობას გულისხმობს: მოსახლეობის ჩართვა სამუშაო ძალაში, რომელიც შრომაში ჩართულობის დონეს გამოხატავს, დასაქმებულთა კმაყოფილების ხარისხი, ღირსეულად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების მიმართ ინტერესი, რომლიც შესაბამის შემოსავალს აძლევს მუშაკს. ამ მოსაზრებით შრომის ბაზრის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს დასაქმება.

ფართო განსაზღვრებით დასაქმებაში იგულისხმება მოსახლეობის ჩართულობა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ანაზღაურების პირობებთან და პირადი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ეს მახასიათებელი გამოხატავს დასაქმების სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური ზრდისათვის სისტემური ხედვა და სტრატეგიის არსებობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ის, რომ დასაქმების თვალსაზრისით ქვეყანაში სერიოზული გამოწვევებია, ამას არაერთი კვლევა და მონაცემი ადასტურებს. უმუშევრობის აღმოფხვრა, შესაბამისად, დასაქმებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რთული ამოცანაა.

სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკას სამუშაო ძალის ბაზარზე ორი მიმართულებით განიხილავენ. კერძოდ, საუბარია აქტიურ და პასიურ პოლიტიკაზე. აქტიური პოლიტიკის მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს მხარდამჭერი ღონისძიებები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში გადასვლას. რაც შეეხება პასიურ პოლიტიკას, ის ორიენტირებულია გააუმჯობესოს არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრების კეთილდღეობა, რისთვისაც უმუშევრობის დაზღვევასა თუ ვადამდელ პენსიაზე გასვლის უზრუნველყოფას ხშირად იყენებს ინსტრუმენტად. [1]

საქართველოს შრომისა და დასაქმების 2024-2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის მიხედვით ძირითად მიზნებს წარმოადგენს: . მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება;

- შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერება;
- მიზნობრივი და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკით შრომის ბაზარზე ქალების და
- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობა;
- სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის აღსრულების
- სისტემის გაუმჯობესება;
- შრომითი მიგრაციის მართვის გაუმჯობესება;

სამუშაო ძალის მიწოდების თვალსაზრისით

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და აქტიურობის დონის ზრდა ფიქსირდება. აღნიშნული ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფონზე, როდესაც 2015-2020 წლებში, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა და აქტიურობის დონე კლებადობით ხასიათდებოდა. საქსტატის მონაცემების თანახმად, 2023 წლის განმავლობაში სახეზეა მზარდი ტენდენცია.

საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ ახალგაზრდებში მაღალი უმუშევრობის დონე რჩება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ აწყდებიან იმ რეალობას, რომ ერთი მხრივ შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე; მეორე მხრივ, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალგაზრდებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით სჭირდებათ მეტი დრო სასურველი სამუშაოს მოსაძიებლად.

2024 წლის იანვარში დავოსში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე აქტიურად განიხილებოდა მომავლის პროფესიებისა და დასაქმების თემა. ფორუმის 2023 წლის ანგარიშის, Future of Jobs Report-ის თანახმად, ახალი ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის მწვანე სტანდარტებზე გადასვლით მსოფლიოში 69 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება; ამავდროულად დღეს არსებული 83 მილიონი სამუშაო ადგილი რისკის ქვეშ დგას ეკონომიკური სირთულეებისა და ავტომატიზაციის გამო. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა, ერთი მხრივ, არსებული სამუშაო ძალის გადამზადება და, მეორე მხრივ, განათლების სექტორის – პროფესიულისა და უმაღლესის – ადაპტირება მოსალოდნელ საჭიროებებთან. რა უნარები უნდა ჰქონდეთ ადამიანებს, რომ თავიანთ სფეროში შრომის ბაზარზე იყვნენ კონკურენტუნარიანი, დააკმაყოფილონ დამქირავებლებისათვის სასურველი სტანდარტები და მოთხოვნები და ხელი შეუწყონ ინოვაციას. სტანდარტული სია არ არსებობს, მაგრამ ასეთ ცოდნას შორისაა ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა და მონაცემთა ანალიზი, მწვანე ტექნოლოგიებსა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ცოდნა სხვადასხვა დარგში. ამგვარ უნარებს შორის კი – კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური უნარები, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულობა და სხვა.

იმისთვის, რომ განათლების სექტორმა მომავლის საჭიროებებს აუწყოს ფეხი და კიდევ უფრო არ გაიზარდოს უნარების არსებული შეუსაბამობა, წინასწარ უნდა განისაზღვროს მომავალი მოთხოვნა კონკრეტულ პროფესიებსა და უნარებზე. იცვლება ბაზარი, სამუშაო ადგილის კონცეფცია, სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები, გლობალიზაცია ჩვეულებრივი მოცემულობაა და ამ ყველაფერს მოაქვს ახალი პროფესიების, ცოდნისა და უნარების საჭიროება. ქვეყნები და კომპანიები ცდილობენ, დღეს განსაზღვრონ, თუ რა ტიპის ცოდნა, პროფესიები და უნარები იქნება საჭირო, მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი მომავალში, რითაც ეკონომიკის ყველა სექტორში გაიზრდება ახალი უნარების განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციებთან სწრაფად ადაპტირების შესაძლებლობები.

2024-2030 წლების პროფესიული განათლების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები ჩამოყალიბებულია საუკეთესო ევროპული გამოცდილების საფუძველზე [2]:

- თანაბარი ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა;
- შესაბამისობა და ადაპტირება; ხარისხის გაუმჯობესება;
- ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ინტეგრაცია; პარტნიორობა;
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- მობილობა.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, მიმზიდველობა და ხარისხის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო წლებში ქვეყანაში ჩატარებული კვლევები მიგვანიშნებს პროგრესს პროფესიულ განათლებაში: ჩართულობის, ხარისხის შეფასების, დასაქმებისა და შეძენილი უნარების თავსებადობის კუთხით შექმნილია დარგობრივი უნარების საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ კომპეტენციების დარგობრივი რუკების შემუშავებასა და პროფესიული კვალიფიკაციების რევიზიის ახალი მეთოდოლოგიის პილოტირებაზე.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებისა და დამსაქმებლების აღქმა, რასაც მოწმობს ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები. ამას თან ახლავს საზოგადოებაში ცნობიერების ზრდა, თუმცა არის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც საჭიროებენ მეტ ყურადღებას ცნობიერების გაზრდის კუთხით.

ცნობიერების ამაღლების პარალელურად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პროფესიულ განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა (პროფესიულ განათლებაში ჩართული ყველა პირის თანაფარდობა ამავე რეფერენციულ ჯგუფთან), რაც საკმაოდ ჩამორჩება ევროპისა და მეზობელი ქვეყნების მაჩვენებელს. 2022 წლის მონაცემებით საქართველოში მთლიანი ჩართულობის მაჩვენებელმა 3,4% შეადგინა, რაც სამჯერ მცირეა (12,4%) ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შე-

დარებით [3]. ასევე დაბალია სკოლიდან (საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ) პირდაპირ პროფესიულ განათლებაში გადასვლის მაჩვენებელი, რაც 5%-ს შეადგენს.

კერძო სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც მაქსიმალურად შეამცირებს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ შეუსაბამობას.

საქართველოს შრომის ბაზარზე დასაქმების მთავარი წყარო ბიზნეს სექტორია. ბიზნეს სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ამასთან, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად, აუცილებელია ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც მაქსიმალურად შეამცირებს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ შეუსაბამობას. 2023 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 823.6 ათასს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.7%-ით მეტია.

ასე რომ ბიზნესის ჩართულობის ზრდა პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განათლების ყველა ეტაპზე, მათ შორის მჭიდრო კომუნიკაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან (სკოლებთან), პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (კოლეჯები) სისტემურ და სტრატეგიულ დონეზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შემდგომში დასაქმების უზრუნველყოფისათვის.

სხვადასხვა სექტორში დაგეგმილი პროექტებისა და განსახორციელებელი სამუშაოების, ასევე მოსალოდნელი ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელია გაჩნდეს ის ახალი მიმართულებები და პროფესიები, რომლებზეც უახლოეს მომავალში გაზრდილი მოთხოვნაა მოსალოდნელი. კერძოდ, ასეთი მიმართულებები და პროფესიები შესაძლებელია წარმოიშვას ისეთ სექტორებში როგორიცაა ენერგეტიკა (ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის მიმართულებით), კავშირგაბმულობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება, წყალმომარაგებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორები. ამასთან, ახალი სამუშაო ადგილები და პროფესიებზე მოთხოვნა შესაძლოა წარმოშვას დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ.

ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება დასაქმებულთა არათანაბარი გადანაწილება რეგიონების მიხედვით. 2023 წელს, სხვა წლების მსგავსად, დასაქმებულთა უმრავლესობა (62%) სწორედ დედაქალაქზე მოდის. არც ერთი სხვა რეგიონი არ ხასიათდება ორნიშნა ხვედრითი წილით. რაც შეეხება, დასაქმებულთა განაწილებას საწარმოთა ზომების მიხედვით: 40% - დასაქმებულია მცირე ზომის საწარმოებში, 40% - მსხვილ, ხოლო 20% - საშუალო ზომის საწარმოებში.

დასკვნა

ეკონომიკური განვითარების მისაღწევად და არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას. საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი, დასაქმების სტრუქტურა და დაბალი პროდუქტიულობა წარმოადგენს. დასაქმების აქტიურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა და დასაქმების სამსახურების ფუნქციონირების არსებითი გაუმჯობესება.

შრომის ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, წლების განმავლობაში, ახალგაზრდებში მაღალი უმუშევრობა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი კვლავ მაღალია, აღსანიშნავია 20-24 წლების ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონის მკვეთრი შემცირება (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.4%);

პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში. საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირება, ფუნქციონირება და სწორი რეგულირება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები, ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას, უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტის ზრდას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ევროინტეგრაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. (წყარო: http://www.-gruni.edu.ge/uploads/files/Other_)

2.uropean Skills Agenda for sustainable competitiveness, social fairness and resilience

European Centre for the Development of Vocational Training, "Quality Assurance in VET.

3.უნარების სააგენტო (2023), „პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში", გვ. 38

4. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი-2024 https://www.economy.ge/